როდესაც შენი მეზობელი სპილენძისა და ოქროს მომპოვებელი საწარმოა - RICH METALS GROUP-ის ზეგავლენა ქალთა ცხოვრებაზე დაბა კაზრეთში

ბოლნისის მუნიციპალიტეტი (დაბა კაზრეთი)

2018 წელი

<u>ინფორმაციის კვლევის შესახებ</u>

კვლევის შემსრულებელი ორგანიზაცია/მკვლევარია

ორგანიზაცია: „ქვემო ქართლის მედია“

მკვლევარი: მანონ ბოკუჩავა

პროექტი, რომლის ფარგლებში მომზადდა კვლევა, დააფინანსა ორგანიზაციამ „ქალთა ფონდი საქართველოში.“[1]

კვლევის მიზანია: ქალთა განწყობების შესწავლა საწარმო RMG-ის საქმიანობის მიმართ, არსებული პრობლემების გამოვლენა და საზოგადოებაში შესაბამისი დისკუსიების წარმართვა.

კვლევის განხორციელების პერიოდი: 2018 წლის 15 თებერვლიდან 31 ივლისის ჩათვლით.

კვლევის ჩატარების არეალი: დაბა კაზრეთი

კვლევის თემატიკა:

- დაბაში მცხოვრები ქალების შრომა ოჯახში (household);
- მათი შრომა საარსებო რესურსის შექმნაში (livehood)
- დასაქმება;
- RMG-ში მომუშავე ქალების შემთხვევაში ვინტერესდებით, მათი შრომის პირობებით, ჯანმრთელობის დაზღვევით, მათ მიმართ არსებული დამოკიდებულებით, ქალებსა და კაცებს შორის ანაზღაურებისადმი მიდგომებით;
- რა და როგორ შეიცვალა მათ დაბაში RMG -ის მუშაობით;
- როგორია ადგილობრივების ჯანმრთელობის მდგომარეობა;
- თავად როგორ ფიქრობენ, რა ზეგავლენას ახდენს მათზე საწარმოს მუშაობა;
- მათი შეფასებით, იჩენს თუ არა საწარმო სოციალურ პასუხისმგებლობას მოსახლეობის მიმართ;
- რამდენად უსაფრთხოდ გრძნობენ თავს, რა სახის სირთულეები შეექმნათ საწარმოს მუშაობის შედეგად;
- როგორ ფიქრობენ, რამდენად უსაფრთხოა დაბაში ბავშვების გაზრდა;
- რა ძირითადი ყოველდღიური პრობლემების წინაშე დგანან;
- რომ შეეძლოთ, RMG-ის მიდგომების (დასაქმების კუთხით, პასუხისმგებლობა მუშახელის მიმართ და ა.შ) რას შეცვლიდნენ;

[1] https://www.womenfundgeorgia.org/ka/Main

- როგორ შეაფასებენ მათი პრობლემების მიმართ, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების დამოკიდებულებას.

მეთოდოლოგია: ვიყენებთ რაოდენობრივი კვლევის მეთოდს. კითხვარი შედგება ღია და დახურული კითხვებისგან. რესპონდენტები არიან ქალები: 18-55 წლამდე ასაკის. კვლევის ცდომილება 3%.

რესპონდენტების რაოდენობა 100.

შერჩევის ასპექტები: ტერიტორიული - ასაკობრივი.

ველის კონტროლი: ველის დასრულების შემდეგ შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შეირჩა გადასამოწმებელი ანკეტები, რამაც წარმოადგინა საერთო რაოდენობის 7%. გადამოწმება განხორციელდა ანკეტებში მითითებულ მისამართებზე ვიზიტით.

კვლევაში ასევე წარმოდგენლია, საკითხის გარშემო, ადგილობრივ სამოქალაქო სექტორის ნაწილის შეფასებები, რა მიზნითაც ჩატარდა ფოკუს-ჯგუფი ქალაქ ბოლნისში. კვლევის თემატიკასთან დაკავშირებით ინფორმაცია გამოვითხოვეთ შემდეგი სახელმწიფო და კერძო უწყებებისგან: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ბოლნისის გამგეობა, საწარმო (Rich Metals Group).

შესაბამისი უწყებების მიერ მოწოდებული ინფორმაცია ერთვის კვლევას.

არსებული ვითარების მიმოხილვა:

ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა კაზრეთში, მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერით, 4 340 მოქალაქე ცხოვრობს. მათ შორის 2 119 კაცი და 2 221 ქალი. დაბა კაზრეთში 1975 წლიდან ფუნქციონირებს ოქროსა და სპილენძის საბადო და კომბინატი, რომელსაც წლების განმავლობაში სს „მადნეული“ მართავდა. 2012 წელს კი საწარმოს მფლობელი რუსული კომპანია Rich Metals Group (RMG) გახდა.

წარსულში მადნეულის, ამჟამად კი RMG მიმართ, ნეგატიური ინფორმაცია საზოგადოებაში ორი მიმართულებით ვრცელდება. პირველი, საწარმოს მიერ გარემოსთვის ეკოლოგიური ზიანის მიყენება, მეორე კი თანამშრომელთა რთული სამუშაო გარემო და დაბალი ხელფასებია. საწარმოს მუშები, რომელთა მხოლოდ ნაწილია ადგილობრივი მცხოვრები, პერიოდულად აქციებსაც აწყობს. ამ აქციებიდან ყველაზე მასშტაბური, რომელსაც დაბაში გაფიცვა მოჰყვა, 2014 წელს გაიმართა.[2] დაბაში გაიფიცნენ მაღაზიები, სკოლა, საბავშვო ბაღი. უშუალოდ აქციებზე მყოფი თუ დაბის ქუჩებში შემხვედრი ადამიანები, მედიასთან საუბრისას აღნიშნავდნენ, რომ კაზრეთში მთავარი პრობლემა საწარმოში რთული სამუშაო პირობები, მთავრობისგან უყურადღებობა და სოციალური უთანასწორობაა.

[2] ოქროთი მდიდარი კაზრეთი ეკონომიკური კრიზისის ზღვარზე [ფოტო/ვიდეო]http://netgazeti.ge/news/29784/

აქციის მონაწილეთა კომენტარები;

“აქ გადიან მადნით დატვირთული დიდი მანქანები, კირით დატვირთული. მოაქვს საშინელი მტვერი სიცხეში.”; [3]

“ვინც მოვიდა, თავისი მოიყვანა და ადგილობრივი დარჩა დაჩაგრული”;

“რომელი შვილიც დედამ დაწყევლა, ყველა კაზრეთში მოვიდა”;

ასევე ყურადღებს ცენტრშია RMG-ის საქმიანობის ზეგავლენა გარემოზე. „მწვანე პოლიტიკის სამეცნიერო-კვლევითი პლატფორმის“ უახლესი კვლევით,[4] რომელიც ამ მიმართულებით შეისწავლის საკითხს, ვკითხულობთ, რომ ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფლების ნაწილის ნიადაგში არის ტოქსიკური ლითონების მატება ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციასთან შედარებით.

ბოლნისის მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მიმართულებით არსებულ ვითარებას ეხმიანება სახალხო დამცველიც, 2017 წლის საპარლამენტო ანგარიშში აღნიშნულია, რომ ბოლნისის მუნიციპალიტეტში ჩასატარებელია საფუძვლიანი ეპიდემიოლოგიური კვლევები, რომლითაც შესაძლებელი იქნება კონკრეტული რისკ ფაქტორების გამოვლენა და მათი ჯანმრთელობაზე ზემოქმედების ეფექტების დადგენა.

[3] http://netgazeti.ge/news/29784/

[4] https://greenpolicyplatform.files.wordpress.com/2018/01/e183a5e18395e18394e1839be1839d-e183a5e18390e183a0e18397e1839ae18398e183a1-e183a1e18390e1839be18397e1839de1839be1839de1839ee1839de183951.pdf

სოციალ-დემოგრაფიული მახასიათებლები






საქმიანობის სფერო
საჯარო მოხელე
RMG -ის თანამშრომელი
სხვა კერძო საწარმოს თანამშრომელი
თვითდასაქმებული
დიასახლისი
სტუდენტი
უმუშევარი
10%
15%
0%
0
45%
1%
29%
0%
5%
10%
15%
20%
25%
30%
35%
40%
45%
Series 1


ვის უწევს ზრუნვა ოჯახის პენსიონერ და არასრულწლოვან წევრზე/წევრებზე?
უმეტეს შემთხვევაში მე
ოჯახის სხვა წევრი
ოჯახის ყველა წევრი თანაბრად
არ გვყავს ოჯახში პენსიონერი
არ გვყავს ოჯახში არასრულწლოვანი
უარი პასუხზე
45%
25%
9%
8%
13%
0%
0%
5%
10%
15%
20%
25%
30%
35%
40%
45%
Series 1



კითხვაზე, როგორია თქვენი სამუშაო პირობები, საწარმოში RMG მომუშავე 15 რესპონდენტიდან 10 გვპასუხობდა, რომ პირობები კარგია, 4 - დამაკმაყოფილებელია. მხოლოდ ერთმა რესპონდენტმა არ ისურვა პასუხის გაცემა. რესპონდენტები, რომლებიც აღნიშნავენ, რომ კარგი და დამაკმაყოფილებელი პირობები აქვთ, თავიანთ პასუხს შემდეგნაირად განმარტავენ: „ნორმალური ხელფასი“, „კარგი დაზღვევა“, „უფასო კვება“.



რესპონდენტები, რომლებსაც საწარმოს ადმინისტრაციის მიმართ კარგი/დამაკმაყოფილებელი დამოკიდებულება აქვთ, პასუხს განმარტავენ: „დასაქმებულები ვართ საწარმოში“, „გვაქვს სტაბილური შემოსავალი“, „ჩვენი ოჯახის წევრები ჰყავთ დასაქმებული“, „გვეხმარებიან“.

რესპონდენტები, რომლებიც აღნიშნავენ, რომ საწარმოს ადმინისტრაციას მათ მიმართ ცუდი/მეტწილად ცუდი დამოკიდებულება აქვთ განმარტავენ: „საწარმოს ადმინისტრაციასთან შეხვედრას თვეებია ვერ ვახერხებთ“, „უარს მეუბნებიან დასაქმებაზე“, „სხვა რეგიონებიდან ჩამოსული ადამიანები ჰყავთ დასაქმებული“, „ყველაზე მეტად ჩვენ დაბას აბინძურებენ და ბევრს არაფერს გვიკეთებენ სანაცვლოდ“, „საწარმო იმ ზიანის გამო, რასაც დაბას და დაბის მკვიდრებს აყენებს, უნდა ანაზღაურებდეს კომუნალური გადასახდების ნაწილს მაინც“;



რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ საწარმოს მამაკაცი თანამშრომლებისგან არასდროს უგრძვნიათ რაიმე სახის დისკრიმინაცია.



რესპონდენტები, რომლებიც დადებითად აფასებენ საწარმოს მუშაობას, ძირითად აქცენტს სტაბილურ ხელფასზე აკეთებენ. აღნიშნავენ, რომ საწარმო არის მათი და მათი ოჯახის წევრების შემოსავლის ერთადერთი წყარო. ხოლო რესპონტენები, რომლებიც აღნიშნავენ, რომ არსებითად არაფერი შეცვლილა განმარატვენ, რომ საწარმო ისევე, როგორც წარსულში ახლაც აბინძურებს გარემოს, წამლავს ჰაერს, ნიადაგს და თან ვერ გრძნობს თავის სოციალურ პასუხისმგებლობას დაბის მოსახლეობის მიმართ.





რესპონდენტების უმრავლესობა განმარტავს, რომ მათ გარშემო სხვადასხვა მძიმე დაავადებების შემთხვევები იზრდება, რასაც ზოგადად ბოლნისის მუნიციპალიტეტში წლების განმავლობაში „კომბინატის“ მუშაობას უკავშირებენ. აღნიშნავენ, რომ საწარმოს მუშაობა წლებია აბინძურებს გარემოს, რაც გავლენას ახდენს ადგილობრივების ჯანმრთელობაზე.



რესპონდენტები, რომლებსაც ჯანმრთელობის მდგომარეობა (მათი თქმით) აქვთ ცუდი და მეტწილად ცუდი, განმარტავენ, რომ აწუხებთ: მაღალი არტერიული წნევები, დიაბეტი, ონკოლოგიური, სასუნთქი გზების და კანის სხვადასხვა სირთულის დაავადებები.





რესპონდენტების ნაწილი განმარტავს, რომ დაბას წყალი მიეწოდება კარაბულახის მთიდან, რომელიც მათი ინფორმაციით, ამ ეტაპზე არ არის დაბინძურებული. [თუმცა იგივეს ვერ ამბობენ ბოლნისის მდინარეებზე, რომლებიც, მათი ინფორმაციით, სწორედ RMG-ის საქმიანობის შედეგად პერიოდულად ბინძურდება. აღნიშნულ საკითხს რესპონდენტები თავად განავრცობელ ინტერვიურთან საუბრისას.]



რესპონდენტების ნაწილი აღნიშნავს, რომ დაბაში ვისაც ჰქონდა მიწის ნაკვეთები, უკვე თითქმის არავინ ამუშავებს, რადგან „ყველაფერი ლპება.“



რესპონდენტების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ დაბაში ჰაერი დაბინძურებულია. განმარტავენ, რომ დაბაში განსაკუთრებით ზაფხულში მკაფიოდ შეინიშნება ჰაერში მტვრის დიდი რაოდენობა - ხშირად მოდის წვიმა, რომელიც ყვითელი ფერისაა. განმარტავენ, რომ ასევე ხშირად ხელმეორედ გაურეცხავთ სარეცხი, რადგან წვიმის წვეთები, ყვითელ ლაქებად დარჩა.





რესპონდენტები პოზიტიურად აფასებენ ქალაქ ბოლნისიდან დაბა კაზრეთამდე საავტომობილი გზის საფარის დაგებას, დაბის კორპუსებში ლიფტების მოწყობას. ხოლო ის რესპონდენტები, რომლებიც უარყოფითად აფასებენ ადგილობრივი ხელისუფლების მუშაობას, განმარტავენ, რომ დაბას არ აქვს სასწრაფო სამედიცინო ცენტრი, რის გამოც სასწრაფოს ლოდინი მინიმუმ 15-20 წუთი უწევთ. ასევე, დაბას არ აქვს სამშობიარო და სრულფასოვანი სამედიცინო მომსახურების ცენტრი.

დაბის მკვიდრები ამბობენ, რომ; იქ არსებულ სამედიცინო ცენტრში შესაძლებელია მხოლოდ სისხლის საერთო ანალიზის ჩატარება. სხვა სახის ლაბორატორიული გამოკვლევები კი არ ხდება. შემდეგი არგუმენტი ადგილობრივი ხელისუფლების საწინააღმდეგოდ ისაა, რომ რესპონდენტების ნაწილის აზრით, ხელისუფლება RMG-ისგან არ მოითხოვს მუშაობისას გარემოს დაცვას.



ადგილობრივი ხელისუფლების შეფასებისგან განსხვავებით, რესპონდენტები ბევრად უფრო კრიტიკულები არიან ცენტრალური ხელისუფლების მიმართ. ისინი აღნიშნავენ: „გაიზარდა კრიმინალი“, „ყველაფერი ძვირდება“, „RMG გვწამლავს ჩვენ და სახელმწიფო ჩუმად არის“, „ბევრს დაგვპირდნენ, არაფერი გააკეთეს“, „RMG-იმ მთები აღარ დაგვიტოვა, ტყეები ცოცხლად დაგვიმარხა, ჰაერს ვერ სუნთქვათ, სადაა მთავრობა?!“ .



რესპონდენტების უმრავლესობა განმარტავს, რომ დაბაში ბავშვების გაზრდით საფრთხეს უქმნიან მათ ჯანმრთელობას. აქედან გამომდინარე, ვისაც შესაძლებლობა აქვს სხვაგან ჰყავს ცოლ-შვილი და საწარმოს ტრანსპორტით მოდის სამსახურში/ან პირადი ავტომობილით.



რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ საწარმო დაბაში აფინანსებს „კულტურის და სპორტის მიმართულების წრეებს“, „არემონტებს სკოლებს“, „ინდივიდუალური მიმართვების საფუძველზე ფულად დახმარებას უწევს მოქალაქეებს“. რესპონდენტების უმრავლსეობა კი განმარტავს, რომ საწარმომ იმ ზიანის გამო, რასაც დაბას აყენებს, ადგილობრივ მოსახლეობას უნდა დაუფაროს საყოფაცხოვრებო გადასახადების ნაწილი მაინც.


რის შეცვლას/ რა მიდგომის შეცვლა ისურვებდით საწარმოს (RMG) მუშაობაში?
შრომითი პირობების გაუმჯობესება
3%
მეტი ადგილობრივის დასაქმება
26%
მეტი ყურადღება ეკოლოგიის კუთხით
71%
სხვა პასუხი
0%
უარი პასუხზე
0%
10%
20%
30%
40%
50%
60%
70%
80%
Series 1

ფოკუს-ჯგუფის ფარგლებში დასახელებული პრობლემური საკითხები:

(ბოლნისის მუნიციპალიტეტში ქალთა უფლებების დაცვაზე მომუშავე სამოქალაქო სექტორი; ჩატარების თარიღი: 16 აპრილი, 2018 წელი)

- ადრეული ქორწინება. ფოკუს-ჯგუფის მონაწილეთა უმრავლესობა ამბობს, რომ ბოლნისის მუნიციპალიტეტში ეს პრობლემა დღესაც არსებობს. რაც უფრო ჩაკეტილია თემი, მით უფრო მწვავედ დგას საკითხი. ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ ხშირად პრობლემის მოსაგვარებლად სათანადო ღონისძიებებს ვერ მიმართავს სახელმწიფო.
- გენდერულად სენსიტიური საკითხების მიმართ საზოგადოების გულგრილობა - ინფორმირებულობის დაბალი დონე.
- დიასახლისი დღემდე აღქმულია, როგორც „ოჯახის უმუშევარი წვერი."
- ქალებს არ აქვთ საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვის შესაძლებლობა - არ არსებობს სამედიცინო პროფილაქტიკური გამოკვლევის ჩატარების შესაძლებლობა.
- დაბა კაზრეთში დაბინძურებულია ჰაერი, ნიადაგი. მათი შეფასებით, აღნიშნულის მიზეზი ამჟამად RMG-ის მუშაობაა. განმარტავენ, დაბას მსგავსი პრობლემები აქვს მას შემდეგ რაც რაიონში/მუნიციპლაიტეტში „კომბინატმა" დაიწყო მუშაობა და წლების განმავლობაში არაფერი იცვლება. (დაბა კაზრეთში 1975 წლიდან ფუნქციონირებს ოქროსა და სპილენძის საბადო და კომბინატი, რომელსაც წლების განმავლობაში სს „მადნეული" მართავდა. 2012 წელს კი საწარმოს მფლობელი რუსული კომპანია Rich Metals Group (RMG) გახდა)
- დაბა კაზრეთში, ჰაერის დაბინძურება შეუიარაღებელი თვალითაც ადვილად შესამჩნევია (ფოკუს-ჯგუფის წევრები განმარტავენ, რომ არის მტვერი და მოდის ყვითელი წვიმა).
- დაბის გზების მორწყვა ხდება საწარმოს მიერ, მაგრამ არ არის ეფექური, შედეგად დგება ტალახი და კორპუსების შიგნით არსებული ისედაც მოუწესრიგებელი გზები ტალახისგან გაუვალია.
- დაბაში და ზოგადად ბოლნისის მუნიციპალიტეტში შეინიშნება მძიმე დაავადებების ზრდა. საჭიროა სრულფასოვანი სამედიცინო კვლევის ჩატარება. თუმცა კვლევა არ უნდა ჩაატაროს დაინტერესებულმა მხარემ..
- ღია წესით არ უნდა ხდებოდეს კარიერის დამუშავება.
- დაბა ვერ იღებს საწარმოსგან იმ სარგებელს რაც ეკუთვნის, თუნდაც იმ ზიანის გამო რასაც მისი მუშაობის შედეგად იღებს.

კვლევის ფარგლებში წამოჭრილ საკითხებზე, კითხვებით მივმართეთ ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიას. წარმოგიდგენთ პასუხებს მათ მიერ, 2018 წლის 29 მაისს, მომზადებული წერილიდან:

- 2017 წელს დაბა კაზრეთში მცხოვრები მოსახლეობისთვის ბოლნისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოიყო თანხა: პროგრამით გათვალისწინებულ კატეგორიებზე (უსინათლოები, შ.შ.მ. პირები, ყრუ-მუნჯები) -15 600 ლარი; კომუნალურ გადასახადებზე (ელექტრო ენერგია, ბუნებრივი აირი) -15 475,23 ლარი. ერთჯერად მატერიალურ დახმარებაზე- 31 200 ლარი.
  2018 წელს: პროგრამით გათვალისწინებულ კატეგორიებზე (უსინათლოები, შ.შ.მ. პირები, ყრუ-მუნჯები)- 5 750 ლარი; კომუნალურ გადასახადებზე (ელექტრო ენერგია, ბუნებრივი აირი)- 11 744,85 ლარი; ერთჯერად მატერიალურ დახმარებაზე- 25 880 ლარი.
- ბოლნისის მუნიციპალიტეტში, **ქალაქ ბოლნისში ფუნქციონირებს სასწრაფო დახმარების სამსახური,** რომლის მომსახურებაც ხელმისაწვდომია მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე, მათ შორის დაბა კაზრეთის მოსახლეობისათვის.
- დაბა კაზრეთში ფუნქციონირებს სამკურნალო-პოლიკლინიკური გაერთიანება. **შენობა, რომელშიც განთავსებულია აღნიშნული გაერთიანება არ აკმაყოფილებს ნორმებს მასში სამშობიაროს და მრვალპროფილური სტაციონარის განსათავსებლად.** ქალაქ ბოლნისში ფუნქციონირებს მულტიპროფილური კლინიკა შ.პ.ს. „ბოლნისის ცენტრალური კლინიკა“, რომელიც წარმოადგენს სამედიცინო მომსახურების, მათ შორის მშობიარობისა და მასთან დაკავშირებული სერვისების პროვაიდერს.
- დაბა კაზრეთში მაცხოვრებელი მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის საერთო სურათი **არ განსხვავდება** რეგიონში მცხოვრებთა ჯანმრთელობის მდგომარეობის საერთო სურათისაგან. დაბა კაზრეთში მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაფასებლად, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მიერ **კვლევა არ ჩატარებულა;**
- ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიაში **არ არის შესაბამისი სტრუქტურა, რომელიც გამოიკვლევდა ეკოლოგიური და გარემოს დაცვითი კუთხით ბოლნისის მუნიციპალიტეტისათვის საწარმო „არემჯი გოლდი“-ს მუშაობას,** შესაბამისად არ გაგვაჩნია კომპეტენცია შევაფასოთ აღნიშნული საკითხი; აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიას ინფორმაცია არ აქვს. ბოლნისის **მუნიციპალიტეტის მერიას არ აქვს სტატისტიკა, რომელშიც აღნიშნული იქნება, თუ რამდენმა ონკოლოგიურმა ავადმყოფმა მიმართა მერიას დახმარებისათვის 2017-2018 წლებში.**
- რაც შეეხება იმას, რომ კომპანია “RMG“-მ ნაწილობრივ ან სრულიად დაფაროს დაბა კაზრეთში მცხოვრები მოქალაქეების კომუნალური ხარჯები, ვინაიდან იგივე

მოთხოვნები ბოლნისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის არც თუ ისე მცირე ნაწილს გააჩნია, არარეალურად მიგვაჩნია კომპანიასთან მათი კომუნალური (ელექტროენერგია, ბუნებრივი აირის, წყლის) გადასახადების გადახდაზე რაიმე კომუნიკაციის დამყარება. ეს დაკავშირებული იქნება უკონტროლო ხარჯვებთან. **კომპანია „არემჯი გოლდი“ იხდის ყველა გადასახადს რისი ვალდებულებაც სახელმწიფოს წინაშე გააჩნია,** დამატებით ახორციელებს სხვადასხვა სოციალური პროექტების დაფინანსებას, (მაგ. სპორტული მოედნების მოწყობა თუ ინვენტარის შეძენა სკოლებისათვის და სხვა);

- ბოლნისის მუნიციპალიტეტს **დაბა კაზრეთში შეძენილი აქვს ახალი სკვერის მოწყობის პროექტი, თუმცა პრიორიტეტულობიდან გამომდინარე ჯერ ვერ მოხდა მისი მშენებლობის დაფინანსება.** ამ ეტაპზე ყველაზე პრობლემური საკითხი დაბაში საკანალიზაციო ქსელის ავარიული მდგომარეობაა და მის აღდგენებს ეტაპობრივად ვახორციელებთ. საკანალიზაციო ქსელების აღდგენის შემდეგ გვექნება საშუალება კორპუსებს შორის არსებული მისასვლელების რეაბილიტაცია დავიწყოთ ეტაპობრივად, გამომდინარე მათი დიდი მასშტაბისა და შესაბამისად ძვირი ღირებულებისა.
- ბოლნისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა 2017 წელს შეადგინა: საკუთარი შემოსავალი 21 245,2 ლარი; **კომპანია RMG-ის მიერ დაფინანსება 16 981,4 ლარი.** 2018 წლის გეგმა: საკუთარი შემოსავალი 22 419 ლარი; კომპანია RMG-ის მიერ დაფინანსება (28 მაისის მდგომარეობით) -10 486,3 ლარი.

წარმოგიდგენთ ინფორმაციას, საჯარო სამართლის იურიდიული პირი ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის წერილიდან ;

[ცენტრში ჩვენი კითხვები ჯანდაცვის სამინისტრომ გადაამისამართა. წერილი მომზადდა 2018 წლის 8 ივნისს]

- წინასწარ შემუშავებული პროგრამის ფარგლებში **2015 წლის 19-20 სექტემბერს დმანისის მუნიციპალიტეტის სოფლებში ვარდისუბანი და დიდი დმანისში და 26-27 სექტემბერს - ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა კაზრეთში და ბალიჭში განხორციელდა სამედიცინო პროფილაქტიკური გასინჯვების ორგანიზება და ჩატარება.** სამედიცინო პროფილაქტიკური გასინჯვები განხორციელდა ექიმთა მრავალპროფილური ჯგუფის მიერ (ოჯახის ექიმი, თერაპევტი, პედიატრი, ქირურგი, ქირურგი, ოფთალმოლოგი, ოტორინოლარინგოლოგი, უროლოგი, ენდოკრინოლოგი, ექიმი ექოსკოპისტი) საქველმოქმედო ფონდ „ჰიპოკრატეს“ ძალებით. აქციის დროს, სამედიცინო ჩვენების მიხედვით ტარდებოდა, როგორც ლაბორატორიული კვლევები (სისხლის ჰემოგლობინი, პროთრომბინი, გლუკოზის

განსაზღვრა) ასევე გადაუდებელი საჭიროების მედიკამენტით მოსახლეობის უზრუნველყოფა საჭიროების შემთხვევაში (მედიკამენტი მოწოდებულ იქნა ფარმაცევტ კომპანია psp-ს მიერ);

ჯამში 19-20 სექტემბერს სოფელ ვარდსიუბანში და დიდ დმანისში სამედიცინო დახმარება გაუწიეს 153 მაცხოვრებელს, ხოლო ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა კაზრეთსა და სოფელ ბალიჭში იმავე რეჟიმში, ინსტრუმენტული და ლაბორატორიული კვლევის მეთოდის გამოყენებით გასინჯულ იქნა 198 მოსახლე, სულ 351 პირი, თუმცა **სრულყოფილი მონაცემი წინასწარ განსაზღვრული ცვლადების მიხედვით ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ კვლევაში ჩართულ 254 მოსახლეზე.**

მოსახლეობის პროფილაქტიკური გასინჯვის მონაცემები დამუშავდა სპეციალური პროგრამის (EPI-INFO) გამოყენებით.

გამოკვლეულთა შორის იყვნენ ბავშვები, მოზარდები და მოზრდილი მოსახლეობა. გასულნჯულთა 50% -ზე მეტი 20-60 წლის ასაკის იყო. დიდი უმრავესლობა - მდედრობითი სქესის (80,3%) და დაბა კაზრეთის მაცხოვრებელთა (61,8%) იყო.

დიაგნოზების მიხედვით ყველა პათოლოგიურ მდგომარეობაზე მეტად გავრცელებული აღმოჩნდა **არტერიული ფიოერტენზია (22.4%), მას მოსდევს ერთეული შემთხვევები ქვემო წელის ტკივილი (ლუმბარგია - 4.3%), ჰიპოთირეოზი (3.9%) და შაქრიანი დიაბეტი (3.5%) არტერიული ჰიპერტენზია ძირითადად, 40 წლის ზემოთ მოსახლეობაში, ძირითადად, ქალებში. არტერიული ფუიპერთენზიის შემთხვევები ძირითადად ხშირი აღმოჩნდა დაბა კაზრეთის (61%) დაბა დმანისის 23%) და სოფელ ბალიჭის (16%) მოსახლეობაში.**

ასევე დამატებით მოგახსენებთ, რომ იმავე წელს ცენტრის წარმომადგენლები **შეხვდნენ კომპანია RMG გოლდის წარმომადგენლებს, სადაც განხილულ იქნა შესაძლებლობა ჩაღრმავებული კვლევის ჩატარების შემთხვევაში კომპანიის მიერ დაფინანსების შესაძლებლობაზე.** პარალელურ რეჟიმში ცენტრის ეპიდემიულოგებმა კონსულტაცია გაიარეს დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრის ექსპერტებთან, რომელთაც დიდი გამოცდილება აქვთ ადამიანის ჯანმრთელობაზე გარემოს მავნე ზემოქმედების შეფასების კვლევის განხორცილების კუთხით, რომელთა მოსაზრებითაც, **წარმოდგენილი პოპულაციის სიმცირიდამნ გამომდინარე კორელაციური კავშირების დადგენა და მყარი მტკიცებულების მიღება კვლევისგან თითქმის შეუძლებელია** და მათი მხიდან რეკომენდაცია იქნა გაცემული, რომ აქცენტი გაკეთებულიყო პროფილაქტიკურ ღონისძიებებსა და მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის სისტემურ შესწავლაზე, რაც განხორციელდა ზემოთ დასახელებული ოთხი სოფლის მოსახლეობაში აღნიშნული აქციის ფარგლებში. **შემდეგომი ღონსიძიებების გასატარებლად რეკომენდაციები მიეცა შესაბამისი მუნიციალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრებს და პირველადი სამედიცინო მომსახურების დაწესებუკებეს.**

საყურადღებოა **2007 წელს** გერმანელ მეცნიერებთან ერთად ჩატარებული - „მდინარე მაშავერას ხეობაშუ ნიადასგებისა და სასოფლო-სამეურნეო ნათესების დაბინძურება მძიმე ლითონებით“ - **კვლევით მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე, გამოიკვეთა რომ მდინარე მაშავერას ხეობის ნადაგში სპილენძის რაოდენობა 49-ჯერ აღემატებოდა მოქმედ ზღვრულად დასაშვებ ნორმას, თუთიის 18 ჯერ, ხოლო კადიუმის 12-ჯერ.** გასულ წლებში ბოლნისის ტერიტორიებზე ერთობლივი კვლევით ასევე დადგინდ, რომ **მძიმე ლითონური ნიადაგიდან საკვებ ჯაჭვში გადადის; ბოლნისის მოსახლეობა კაზრეთულას და მაშავერას წყალს სარწყავად იყენებს.** მორწყვის შემდეგ მძიმე მეტალები მცენარეებში გროვდება. **ასეთი საკვების ხანგრძლივმა მოხმარებამ კი, შესაძლოა, ადამიანის ორგანიზმში მთელი რიგი პათოლოგიური დაავადებები გამოიწვიოს: მედიკოსთა შეფასებით, ბოლნისის რაიონში დაავდებათა სტატისტიკის ზოგადი მაჩვენებელი მეტად საყურადღებოა.“**

წარმოგიდგენთ ინფორმაციას, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მომზადებული წერილიდან

[წერილი სამინისტრომ 2018 წლის 15 ივნისს მოგვაწოდა]

„2015-2016 წწ. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა შპს „RMG Gold“-ზე გაცემული გარემოზე ზემოქმედების №000056 ნებართვით (2009 წლის 30 იანვრის №14 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა) გათვალისწინებული პირობების, ასევე შპს „RMG Gold”-ზე სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავებაზე (საყდრისის საბადოს მადნის გროვული გამოტუტვის საწარმოო უბნის ექსპლუატაცია), საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2014 წლის 03 აპრილის №ი-193 ბრძანებით დამტკიცებული 2014 წლის 03 აპრილის №15 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების **მდგომარეობის გეგმიური შემოწმება.** ამასთან, 2015-2016 წწ. ასევე განხორციელდა სს „RMG Copper“-ზე (ს/კ 225358341) გაცემული გარემოზე ზემოქმედების №000055 ნებართვით (2009 წლის 30 იანვრის №13 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა) გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმება.

ზემოაღნიშნულ პერიოდში განხორციელებული **ინსპექტირებისას გამოვლენილ დარღვევებთან დაკავშირებით სს „RMG Copper“-ის და შპს „RMG Gold“-ის მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის** შესახებ შემდეგი ოქმები:

1. 2016 წელს სს "RMG Copper"-ის მიმართ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 792 -ე, 65-ე და **ნარჩენების მართვის კოდექსის 42-ე მუხლით** გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №029651, №029653 და №029655 ოქმები;
2. 2016 წელს შპს "RMG Gold"-ის მიმართ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79-ე, 65-ე მუხლებით და ნარჩენების მართვის კოდექსის 42-ე მუხლით 2 გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №029661, №029657, №029658, №029660 და №029662 ოქმები;
3. 2017 წლის 15 სექტემბერს და 1 დეკემბერს სს "RMG Copper"-ის მიმართ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 792-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №035829 და №035835 ოქმები; 4. 2018 წლის 24 აპრილს სს „RMG Copper"-ის მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №041338 და №041339 ოქმები, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79 -ე მუხლის შესაბამისად.

ზემოთ მითითებული ოქმების განხილვის შედეგად, შპს „RMG Gold" და სს "RMG Copper" ბოლნისის რაიონულმა სასამართლომ სცნო სამართალდამრღვევად. ასევე გაცნობებთ, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის **სამინისტრომ შპს „RMG Gold"-ის და სს "RMG Copper"-ის შემოწმებისას გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად დაუდგინა გონივრული ვადა და დეპარტმენტის მიერ შემუშავდა №000956, №000906 და №000904 ადმინისტრაციული მიწერილობები.**

განსაზღვრული გონივრული ვადის ამოწურვის შემდეგ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, განხორციელდება დადგენილი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობის ინსპექტირება. რაც შეეხება ინფორმაციას საწარმოს მიერ გადახდილი კონკრეტულ თანხების შესახებ, გაცნობებთ, რომ აღნიშნული ფაქტის მონიტორინგს მისი კომპეტენციიდან გამომდინარე, სამინისტრო არ ახორციელებს."

წარმოგიდგენთ ინფორმაციას, საწარმო RMG-ის მომზადებული წერილიდან: [წერილის გამოგზავნის თარიღი: 2018 წლის, 19 ივლისი]

- „მოგეხსენებათ, რომ კომპანია RMG წარმოადგენს მომეტებული საფრთხის მქონე საწარმოს, სწორედ ამიტომ კომპანიაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება შრომის უსაფრთხოებისწესებისდაცვას. RMG ჯგუფში დასაქმებულ 2 200-ზე მეტ თანამშრომელს, მუდმივად უტარდებათ შრომის უსაფრთხოების ინსტრუქტაჟი. სხვადასხვა საწარმოო უბნებზე მომუშავე პერსონალიაღჭურვილია

სპეც.ტანსაცმლითდაპირადიდაცვისსაშუალებებით. 2017 წლის განმავლობაში დაფიქსირებული ყველა საწარმოო შემთხვევა მიეკუთვნებოდა საშუალო და მსუბუქ კატეგორიას. რაც შეეხება მიმდინარე წლის მაჩვენებლებს, 2018 წლის მაისის თვის ჩათვლით ფიქსირდება მხოლოდ 7 შემთხვევა, ყველა მათგანი განეკუთვნება მსუბუქიტ რავმების კატეგორიას. კომპანიაში მოქმედი შრომის უსაფრთხოების დებულების თანახმად, ყველა შემთხვევაზე ჩატარებულია მოკვლევა, გამოვლენილი და აღმოფხვრილია ტრავმის გამომწვევიმიზეზები;“

- “ 2017 წლის ზაფხულიდან საყდრისის კარიერიდან ფაბრიკის მიმართულებით მოძრავი სატვირთო მანქანები გადაადგილდებიან შემოვლითი გზით. გასულ წელს კომპანიის ინიციატივით მოხდა კაზრეთის ხიდიდან ბარიტის კუდსაცავის მიმართულებით მიმავალი გზის რეაბილიტაცია, რათა დაბაში მაქსიმალურად შემცირდეს სატვირთო მანქანების ინტენსიური მოძრაობა. მიუხედავად იმისა, რომ სატვირთო მანქანები აღარ მოძრაობენ საწარმოსკენ მიმავალ ცენტალურ გზაზე, აღნიშნული მონაკვეთის, დაბა კაზრეთის და სოფელ ბალიჭის ყველა ცენტრალური გზა ყოველდღიურად ირწყვებას პეციალური სარწყავი მანქანებით. გზის მორწყვის ინტენსივობა დამოკიდებულია სეზონსა და ამინდზე. ზაფხულის პერიოდში საჭიროებიდან გამომდინარე მორწყვის სიხშირე იმატებს, შესაბამისად დღეში რამდენჯერმე ხდება ყველა იმ გზის მორწყვა, რომელზეც გადაადგილდებიან სატვირთო მანქანები. კომპანიაში არსებობს სარწყავი მანქანების ავტოპარკი, რომელიც შედგება 5 ერთეული 12 ტონიანი სარწყავი მანქანისაგან, რომლებიც ყოველდღიურად დიდი ინტენსივობით გადააგილდებიან გზებზე;“
- „გარემოსდაცვითი მიმართულება შრომის უსაფრთხოებასთან ერთად, კომპანიის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. **2017 წლიდან მიმდინარეობს აქტიური და ყოველდღიური მუშაობა საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანია Golder Associates-ის გარემოსდაცვით ექსპერტებთან ერთად, რომელთა უშუალო მონაწილეობითაც შეიქმნა RMG-ის გარემოსდაცვითი პროგრამა, რომელიც გაწერილია 2018-2020 წლებზე და გულისხმობს 30 მილიონი ლარის ინვესტიციას.**

  გარდა ამისა, გარემოსდაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებულია მოკლე და გრძელვადიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც 100-ზე მეტი კონკრეტული გარემოსდაცვითი ღონისძიებისგან შედგება და მიზნადისახავსსამთო საქმიანობის მაღალი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობით განხორციელებას. აღსანისნავია, რომ სამოქმედო გეგმის ფარგლებში უკვე შესრულებულია 29 პუნქტი. **სამოქმედო გეგმის მიხედვით მთავარ პრიორიტეტს სწორედ წყლის, ჰაერის და ნიადაგის დაბინძურებისგანდაცვა წარმოადგენს;“**
- **„ის რომ სწორედ კომპანიის მუშაობის შედეგად არის გაზრდილი რიგი დაავადებები დაბასა და ბოლნისის მუნიციპალიტეტში, არ დასტურდება არც ერთი კონკრეტული კვლევით.** რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ოფიციალური სტატისტიკის

მიხედვით, ქვემო ქართლში რიგი დაავადებები ბევრად ნაკლებია ვიდრე თბილისსა და დასავლეთ საქართველოს რამდენიმე რეგიონში. ამასვე მოწმობს, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის მიერ ბოლო პერიოდში გამოქვეყნებული 2015-2017 წლის კიბოს რეგისტრის მონაცემები, რომლის მიხედვითაც ბოლნისი იმ 18 მუნიციპალიტეტს შორის არ არის, სადაც კიბოს ინიციდენტობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება. **მიუხედავად ზემოთ მოყვანილი სტატისტიკისა, კომპანია მზად არის აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით გამართოს დიალოგი კომპეტენტურ უწყებებთან და გაიზიაროს სპეციალისტების მხირდან მიწოდებული არგუმენტირებული რეკომენდაციები;“**

- „კომპანია „არემჯის“ სოციალური პასუხისმგებლობის უდიდესი ნაცილი მიმართულია ბოლნისის და დმანისის რაიონებში, სხვადასხვა სახის კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაზე. 2018 წლიდან კომპანია „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაციის“ მასშტაბურ პროექტს ახორციელებს. აღნიშნული პროგრამა 2018-2021 წლებში, ქვეყნის უმნიშვნელოვანესი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების: შუამთის მონასტრის ტერიტორიის არქეოლოგიური კვლევას, ფიტარეთის მონასტრის, ბოლნისის სიონის, სათხეს სამონასტრო კომპლექსის და მასთან მისასვლელი გზის, სამშვილდის, ნაქალაქარის, ნიკორწმინდის სამონასტრო კომპლექსის და ალავერდის სამონასტრო კომპლექსის რეაბილიტაციას ითვალისწინებს. აღნიშნული პროექტისთვის გამოყოფილია 1 700 000 ლარი. ასევე, „არემჯის“ და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტს შორის 2017 წელს გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, წარმატებით ხორციელდება „არემჯის სტიპენდიანტების და სტუდენტების მხადრაჭერის“პროგრამა. ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური და ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის 11 სტუდენტი 2018 წლიდან „არემჯის“ყოველთვიურ სტიპენდიას იღებენ. 2015-2017 წლებში „არემჯის“ დაფინასებით აშენდა ახალი ტექნოლოგიებით აღჭურვილი თანამედროვე სტანდარტებით დაპროექტებული ბოლნისის ახალი მუზეუმის შენობა. მუზეუმის პროექტის მომზადებასადა მშენებლობაში„არემჯიმ“ 7 000 000 ლარი დახარჯა. 2017 წლიდან დღემდე მუზეუმის მუზეოგრაფიაზე და ტექნიკურ მოწყობაზე დახარჯულია დამატებით 1 340 150 ლარი; 2016წლიდან „არემჯი“ ბოლნისის საფეხბურთო კლუბ „სიონის“გენერალური სპონსორია. კომპანია მხარს უჭერს რეგიონში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას. კომპანიის მხიდან ყოველთვიურად ფინანსდება ბოლნისის და დმანისი რაიონში არსებული 2 ქორეოგრაფიული ანსამბლი, (ანსამბლი „მადნეული“ ანსამბლი „მართვე“) დაბა კაზრეთის კულტურის სახლთან არსებული სახვითი ხელოვნების წრე და სხვადასხვა სპორტული წრეები (ფეხბურთი, რაგბი, თავისუფალი სტილით ჭიდაობა, მკლავჭიდი, შერეული ორთაბრძოლები). 2017 წელის ზაფხულში კაზრეთის #1 სკოლაში კომპანიის ფინანსური მხარდაჭერით მთლიანად გამოიცვალა სკოლის ამორტიზებული

წყალგაყვანილობის სისტემა. კაზრეთის #2 სკოლაში გარემონტდა 152 კვ.მ სააქტო დარაზი. სარეაბილიტაციო სამუშაოებში - 70 000 ლარი დაიხარჯა. 2017 წლის შემოდგომაზე დაბა კაზრეთში „არემჯის“ საწარმოს მიმართულებით მიმავალი საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულებამ 500 000-მდე ლარი შეადგინა. 2018 წლის გაზაფხულზე რეაბილიტაცია ჩაუტარდა დაბა კაზრეთში მდებარე ორ რეკრეაციულ ობიექტს. კაზრეთის დასასვენებელი სკვერის და ომში დაღუპულ გმირთა მემორიალის და პარკის რეაბილიტაციის სამუშაოებში 120 000 ლარი დაიხარჯა;“

ორგანიზაცია: მწვანე პოლიტიკის სამეცნიერო-კვლევითი პლატფორმა[5]

მწვანე პოლიტიკის სამეცნიერო-კვლევითი პლატფორის, 2017 წელს, მომზადებულ კვლევაში ვკითხულობთ:

„ პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევები შევადარეთ ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს და მონაცემებზე დაყრდნობით გამოვითვალეთ რაოდენობრივი შემცველობები, რის საფუძველზეც დადგინდა ამა თუ იმ სოფელში ტოქსიკური ლითონების მატება ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციასთან შედარებით. გამოთვლებმა მოგვცა იმის საშუალება, რომ დავინახოთ, რამდენჯერ აღემატება თითოეულ სოფელში ლითონების შემცველობა ზღვრულად დასაშვებ ნორმას. (ასევე გამოვითვალეთ პროცენტული შემცველობები, რის საფუძველზეც დადგინდა ამა თუ იმ სოფელში ტოქსიკური ლითონების სხვადასხვა პროცენტული მატება ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციასთან შედარებით იხილეთ დანართი)

ნახიდურში ნიადაგის ზედაპირზე სპილენძის შემცველობა ნორმას 1.58 -ჯერ აღემატება, მანგანუმი 1.433-ჯერ, კადმიუმი 3.186-ჯერ, სიღრმეში კი – მანგანუმი 1.552-ჯერ, კადმიუმი 2.57-ჯერ;
მწყნეთში ნიადაგის ზედაპირზე კადმიუმი მომატებულია 4.32 -ჯერ, ხოლო სიღრმეში 3.2-ჯერ;
ფოლადაურში ნიადაგის ზედაპირზე მანგანუმი მომატებულია 1.236-ჯერ, კადმიუმი 2.84-ჯერ, სიღრმეში კი კადმიუმი 3.4-ჯერ აღემატება;
ქვემო ბოლნისში ზედაპირზე მანგანუმი აღემატება 1.158 -ჯერ, კადმიუმი აღემატება 2.232 -ჯერ, სიღრმეში მანგანუმი აღემატება 1.126 -ჯერ, კადმიუმი 2-ჯერ;
რატევანში ნიადაგის ზედაპირზე მანგანუმი მომატებულია 1.262-ჯერ, თუთია 3.37 -ჯერ, კადმიუმი 10.19 -ჯერ, სიღრმეში კი – სპილენძი 2.1-ჯერ, კადმიუმი 3.4 -ჯერ;

[5] https://greenpolicyplatform.files.wordpress.com/2018/01/e183a5e18395e18394e1839be1839d-e183a5e18390e183a0e18397e1839ae18398e183a1-e183a1e18390e1839be18397e1839de1839be1839de1839ee1839de183951.pdf

მუშევანში ნიადაგის ზედაპირზე მომატებულია კადმიუმი 2.04 -ჯერ, სიღრმეში კი – მანგანუმი 1.50426-ჯერ, კადმიუმი 2.14-ჯერ;
აკაურთაში ნიადაგის ზედაპირზე მომატებულია კადმიუმი 4.72 -ჯერ, სიღრმეში – კადმიუმი 4.44 - ჯერ;
გომარეთში ნიადაგის ზედაპირზე კადმიუმი მომატებულია 4.22 -ჯერ, სიღრმეში კი 4.158 -ჯერ;
განთიადში ნიადაგის ზედაპირზე მომატებულია მანგანუმი 1.189-ჯერ, კადმიუმი 3.05-ჯერ, სიღრმეში კი – მანგანუმი 1.1393-ჯერ, კადმიუმი 2.46 -ჯერ; **ვარდისუბანში** ნიადაგის ზედაპირზე მომატებულია მანგანუმი 1.20126-ჯერ, კადმიუმი 2.95 -ჯერ, ტყვია 1.0272-ჯერ, სიღრმეში – მანგანუმი მომატებულია 1.2688-ჯერ, კადმიუმი 1.774-ჯერ, ტყვია 1.1295-ჯერ;
მამიშლოში ნიადაგის ზედაპირზე მომატებულია მანგანუმი 1.042 -ჯერ, კადმიუმი 1.587 -ჯერ, ტყვია 1.021-ჯერ, სიღრმეში კადმიუმი 1.785 -ჯერ, ტყვია 1.1732-ჯერ;
პატარა დმანისში ნიადაგის ზედაპირზე კადმიუმი მომატებულია 1.73 -ჯერ, ტყვია 1.281 -ჯერ, სიღრმეში კადმიუმი 1.71 -ჯერ, ტყვია 1.154-ჯერ;
აბულბუქში ნიადაგის ზედაპირზე მომატებულია სპილენძი 1.25 -ჯერ, მანგანუმი 1.3468 -ჯერ, კადმიუმი 2.7 -ჯერ, ტყვია 2.0174 -ჯერ, სიღრმეში – სპილენძი 1.287 -ჯერ, მანგანუმი 1.502 -ჯერ, თუთია 3.5847-ჯერ, კადმიუმი 3.71 -ჯერ, ტყვია 3.027 -ჯერ;
ბალიჭის ჭალებში ნიადაგის ზედაპირზე მომატებულია სპილენძი 1.26 -ჯერ, მანგანუმი 1.24 -ჯერ, თუთია 1.73 -ჯერ, კადმიუმი 5.65 -ჯერ, ტყვია 3.36 -ჯერ, სიღრმეში – მანგანუმი 1.436 -ჯერ, კადმიუმი 3.65 -ჯერ, ტყვია 2.265-ჯერ; ტანძიაში ნიადაგის ზედაპირზე მომატებულია მანგანუმი 1.274-ჯერ, კადმიუმი 3.5-ჯერ, ტყვია 1.8084- ჯერ, სიღრმეში – მანგანუმი 1.146 -ჯერ, კადმიუმი 3.71 -ჯერ, ტყვია 1.80 -ჯერ; დარბაზში ნიადაგის ზედაპირზე მომატებულია მანგანუმი 1.10404 -ჯერ, კადმიუმი 3.17 -ჯერ, ტყვია 1.99 -ჯერ, სიღრმეში – მანგანუმი 1.09692 -ჯერ, კადმიუმი 3.01 -ჯერ, ტყვია 1.929 -ჯერ;
ფოცხვერიანში ნიადაგის ზედაპირზე მომატებულია მანგანუმი 1.36 -ჯერ, კადმიუმი 2.82 -ჯერ, ტყვია 1.9929-ჯერ, სიღრმეში – მანგანუმი 1.105 -ჯერ, კადმიუმი 3.5 -ჯერ, ტყვია 2.2883 -ჯერ;
კაზრეთში ნიადაგის ზედაპირზე მომატებულია მანგანუმი 1.188 -ჯერ, კადმიუმი 3.94 -ჯერ, ტყვია 2.7128-ჯერ, სიღრმეში – მანგანუმი 1.21-ჯერ, კადმიუმი 3.9 -ჯერ, ტყვია 2.97 -ჯერ;
ბალიჭის შესასვლელთან ნიადაგის ზედაპირზე მომატებულია სპილენძი 1.9 -ჯერ, მანგანუმი 1.236 - ჯერ, კადმიუმი 3.5 -ჯერ, ტყვია 2.88-ჯერ, სიღრმეში – მანგანუმი 1.0512 -ჯერ, კადმიუმი 4.62 -ჯერ, ტყვია 2.53 -ჯერ;
ბალიჭის შუაუბანში ნიადაგის ზედაპირზე მომატებულია მანგანუმი 1.166 -ჯერ, კადმიუმი 3.64 -ჯერ, ტყვია 2.865 -ჯერ, სიღრმეში – კადმიუმი 5.15 -ჯერ, ტყვია 1.715 -ჯერ;

ბალიჭის ზედაუბანში ნიადაგის ზედაპირზე მომატებულია მანგანუმი 1.327 -ჯერ, კადმიუმი 1.867 - ჯერ, ტყვია 4.3337 -ჯერ, სიღრმეში კი – მანგანუმი 1.109 -ჯერ, კადმიუმი 1.73 -ჯერ, ტყვია 1.79 -ჯერ.

საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში (2017 წელი)[6]

ანგარიშში ვკითხულობთ: „ წლების განმავლობაში, ვერ მოხერხდა RMG Gold-ისა და RMG Copper-ის სამეწარმეო საქმიანობის შედეგად გარემოსთვის მიყენებული ზიანსა და მოსახლეობის ჯანმრთელობის პრობლემებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გამოკვლევა ბოლნისისა და დმანისის მუნიციპალიტეტებში. სახელმწიფო განმარტებით, ის ეყრდნობა ექსპერტების აზრს, რომ პოპულაციის სიმცირიდან გამომდინარე ვერ მოხდება კორელაციური კავშირის დადგენა და მყარი მტკიცებულებების მიღება და პრიორიტეტულად პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება მიიჩნევა. როგორც ირკვევა, ჩასატარებელია გაღრმავებული ეპიდემიოლოგიური კვლევებიც, რომლითაც შესაძლებელი იქნება კონკრეტული რისკ ფაქტორების გამოვლენა და მათი ჯანმრთელობაზე ზემოქმედების ეფექტების დადგენა. ამ მიმართულებით დღემდე გატარებული ზომები არაეფექტიანად უნდა ჩაითვალოს, რაც ლახავს ადგილობრივი მოსახლეობის უფლებას ჯანმრთელობასა და ჯანსაღ გარემოში ცხოვრებაზე.“

კვლევის მიმდინარებისას გამოვლენილი სირთულეები:

- კვლევის დაწყებისას, ორმა ინტერვიურმა უარი თქვა ჩვენთან თანამშრომლობაზე, წინასწარი შეთანხმების არსებობის მიუხედავად. ერთ-ერთმა განაცხადა, რომ მისი ოჯახის წევრი მუშაობს საწარმოში RMG და მას შესაძლოა პრობლემები შეექმნას. მსგავსი არგუმენტი [ნათესავი მუშაობს RMG -ში] ჰქონდა მეორე ინტერვიუერსაც. შესაბამისად მოხდა მათი შეცვლა.

- როგორც კითხვარის გატესტვის, ასევე უშუალოდ ველზე მათი შევსებისას, გამოიკვეთა რესპონდენტების შიში, რომ მოხდება ინდენტიფიცირება და საწარმო RMG შეიტყობს მათ შეფასებებს და ვინაობას. საველე სამუშაოზე მომუშავე ჯგუფს დასჭირდა დიდი ძალისხმევა, რესპონდენტების ნდობის მოსაპოვებლად.

[6] http://www.ombudsman.ge/uploads/other/5/5139.pdf

კვლევის მიზნები

- დაბა კაზრეთში გამოკითხულ რესპონდენტთა უმრავლესობა [რესპონდენტების 80%] მის გარშემო არსებულ გარემოს საზიანოდ მიიჩნევს. ფიქრობენ, რომ ამ გარემოში ბავშვების გაზრდა სახიფათოა მათი ჯანმრთელობისთვის. აღნიშნავენ, რომ საწარმო აზიანებს გარემოს და შესაბამისად ზიანს აყენებს მათ ჯანმრთელობას. საზოგადოების ეს ნაწილი ვერ გრძნობს სათანადო მხარდაჭერას ვერც ადგილობრივი და ვერც ცენტრალური ხელისუფლებისგან.

- ერთი მხრივ, საწარმო RMG წარმოადგენს მათთვის ერთადერთ დამსაქმებელს, მაგრამ მეორე მხრივ, ართმევს მათ მშვიდი ცხოვრების შესაძლებლობას. გამოკითხულთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ ჰაერი, რომლითაც სუნთქავს დაბინძურებულია, [რესპონდენტების 92%] დაბინძურებულია ნაიდაგიც, [რესპონდენტების 71%] მაგრამ ვერ ხედავს მის გვერდით სახელმწიფოს, რომელიც ჩაატარებს შესაბამის სრულფასოვან კვლევას და მიმართავს ზომებს პრობლემის გამოსასწორებლად. [თავად გამოკითხულთა სრული უმრავლეობა ვერ იტარებს სისტემატიურად სამედიცინო პროფილაქტიკური გამოკვლევებს. დაბას, ამასთან ერთად, არ აქვს სასწრაფო სამედიცინო ცენტრი და სამშობიარო სახლი]

- ასევე, რესპოდენტების ნაწილი ითხოვს საწარმოს მუშაობის შედეგად მეტი სარგებელი მიიღოს ადგილობრივმა მოსახლეობამ. ისინი მოთხოვნას ლეგიტიმურად მიიჩნევენ, რადგან ფიქრობენ, რომ საწარმოს მუშაობის შედეგად ადგილობრივები ყველაზე მეტად ზიანდებიან. „RMG-მ მთები აღარ დაგვიტოვა, ტყეები ცოცხლად დაგვიმარხა, ჰაერს ვერ სუნთქვათ, სადაა მთავრობა?!“ - ვკითხულობთ მათ შეფასებებში.

- ჩვენი რესპონდენტების უმრავლესობის განწყობებს/შეფასებებს სრულად ასახავს სახალხო დამცველის რეკომენდაციებიც. ქვეყნის პირველი უფლებადამცველი მოითხოვს, ბოლნისის და დმანისის მუნიციპალიტეტებში ჩატარდეს ეპიდემიოლოგიური კვლევები, რომლითაც შესაძლებელი იქნება კონკრეტული რისკ ფაქტორების გამოვლენა. სახალხო დამცველი ამ მიმართულებით დღემდე გატარებულ ღონისძიებებს არაფექტურს უწოდებს და ადამიანის ფუნდამენტური უფლების, იცხოვროს ჯანსაღ გარემოში, შემლახველს.

ოჯახში შემოსავლის ძირითად წყაროს გამოიმუშავებს ...



წყარო: "როდესაც შენი მეზობელი სპილენძისა და ოქროს მომპოვებელი საწარმოა – RICH METALS GROUP-ის გავლენა ქალთა ცხოვრებაზე დაბა კაზრეთში", "ქვემო ქართლის მედია", მანონ ბოკუჩავა, 2018 წელი.

ფინანსური მხარდაჭერა: "ქალთა ფონდი საქართველოში"

რესპოდენტების რაოდენობა: 100 ქალი / კვლევის არეალი: დაბა კაზრეთი

როგორ შეაფასებთ საწარმოს (RMG) ადმინისტრაციის დამოკიდებულებას თქვენ მიმართ?

- კარგი/დამაკმაყოფილებელი დამოკიდებულების მქონე რესპოდენტები განმარტავენ: "დასაქმებულები ვართ საწარმოში", "გვაქვს სტაბილური შემოსავალი", "ჩვენი ოჯახის წევრები ჰყავთ დასაქმებული", "გვეხმარებიან".
- ცუდი/მეტწილად ცუდი დამოკიდებულების მქონე რესპოდენტები განმარტავენ: "უარს მეუბნებიან დასაქმებაზე", "საწარმოს ადმინისტრაციასთან შეხვედრას თვეებია ვერ ვახერხებთ", "ყველაზე მეტად ჩვენს დაბას აბინძურებენ და ბევრს არაფერს გვიკეთებენ სანაცვლოდ" .

წყარო: "როდესაც შენი მეზობელი სპილენძისა და ოქროს მომპოვებელი საწარმოა – RICH METALS GROUP-ის გავლენა ქალთა ცხოვრებაზე დაბა კაზრეთში", "ქვემო ქართლის მედია", მანონ ბოკუჩავა, 2018 წელი.

ფინანსური მხარდაჭერა: "ქალთა ფონდი საქართველოში"

რესპოდენტების რაოდენობა: 100 ქალი / კვლევის არეალი: დაბა კაზრეთი

როგორ შეიცვალა დაბა კაზრეთში ცხოვრება მას შემდეგ რაც საწარმოს მართვა RMG-მა დაიწყო?



"შეიცვალა უკეთესობისაკენ" პასუხისას რესპოდენტები სტაბილურ ხელფასზე აკეთებენ აქცენტს.

"არსებითად არაფერი შეცვლილა" პასუხისას რესპოდენტები გარემოს დაბინძურებაზე აკეთებენ აქცენტს.

წყარო: "როდესაც შენი მეზობელი სპილენძისა და ოქროს მომპოვებელი საწარმოა – RICH METALS GROUP-ის გავლენა ქალთა ცხოვრებაზე დაბა კაზრეთში", "ქვემო ქართლის მედია", მანონ ბოკუჩავა, 2018 წელი.

ფინანსური მხარდაჭერა: "ქალთა ფონდი საქართველოში"

რესპოდენტების რაოდენობა: 100 ქალი / კვლევის არეალი: დაბა კაზრეთი

თქვენი დაკვირვებით, RMG-ის საქმიანობის შედეგად დაბაში გაიზარდა მძიმე დაავადებების შემთხვევები?

ვფიქრობ, გაიზარდა	ვფიქრობ, არ გაზრდილა	RMG-ის მოსვლამდეც შეინიშნებოდა მძიმე დაავადებების ზრდა	ვერ შევაფასებ
20%	10%	60%	10%

➡ რესპოდენტების უმრავლესობა მათ გარშემო სხვადასხვა მძიმე დაავადებების ზრდას ბოლნისის მუნიციპალიტეტში წლების განმავლობაში "კომბინატის" მუშაობას უკავშირებს. მათი თქმით, საწარმოს მუშაობა წლებია აბინძურებს გარემოს, რაც ადგილობრივების ჯანმრთელობას აზიანებს

წყარო: "როდესაც შენი მეზობელი სპილენძისა და ოქროს მომპოვებელი საწარმოა - RICH METALS GROUP-ის გავლენა ქალთა ცხოვრებაზე დაბა კაზრეთში", "ქვემო ქართლის მედია", მანონ ბოკუჩავა, 2018 წელი.

ფინანსური მხარდაჭერა: "ქალთა ფონდი საქართველოში"

რესპოდენტების რაოდენობა: 100 ქალი / კვლევის არეალი: დაბა კაზრეთი

როგორია პირადად თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობა?



რესპოდენტების 100% არ იტარებს სამედიცინო პროფილაქტიკურ გამოკვლევებს

➡ **რესპოდენტების, რომლებსაც ჯანმრთელობის მდგომარეობა აქვთ ცუდი/მეტწილად ცუდი განმარტავენ, რომ აწუხებთ: მაღალი არტერიული წნევები, დიაბეტი, ონკოლოგიური, სასუნთქი გზებისა და კანის სხვადასხვა სირთულის დაავადებები.**

წყარო: "როდესაც შენი მეზობელი სპილენძისა და ოქროს მომპოვებელი საწარმოა - RICH METALS GROUP-ის გავლენა ქალთა ცხოვრებაზე დაბა კაზრეთში", "ქვემო ქართლის მედია", მანონ ბოკუჩავა, 2018 წელი.

ფინანსური მხარდაჭერა: "ქალთა ფონდი საქართველოში"

რესპოდენტების რაოდენობა: 100 ქალი / კვლევის არეალი: დაბა კაზრეთი

თქვენი დაკვირვებით, დაბა კაზრეთში, ეკოლოგიურად რამდენად სუფთაა სასმელი წყალი?

ვფიქრობ, ეკოლოგიურად სუფთაა	ვფიქრობ, არ არის სუფთა	არ ვიცი	უარი პასუხზე
38%	0%	62%	0%

➡ რესპოდენტების ნაწილის თქმით, დაბას წყალი მიეწოდება კარაბულახის მთიდან, რომელიც მათი ინფორმაციით, არ არის დაბინძურებული. თუმცა იგივეს არ ამბობენ ბოლნისის მდინარეებზე, რომლებიც, მათი ინფორმაციით, RMG-ის საქმიანობის შედეგად, პერიოდულად ბინძურდება.

წყარო: "როდესაც შენი მეზობელი სპილენძისა და ოქროს მომპოვებელი საწარმოა – RICH METALS GROUP-ის გავლენა ქალთა ცხოვრებაზე დაბა კაზრეთში", "ქვემო ქართლის მედია", მანონ ბოკუჩავა, 2018 წელი.

ფინანსური მხარდაჭერა: "ქალთა ფონდი საქართველოში"

რესპოდენტების რაოდენობა: 100 ქალი / კვლევის არეალი: დაბა კაზრეთი

თქვენი დაკვირვებით, დაბა კაზრეთში, ეკოლოგიურად რამდენად სუფთაა ნიადაგი?

ვფიქრობ, ეკოლოგიურად სუფთაა	ვფიქრობ, არ არის სუფთა	არ ვიცი	უარი პასუხზე
0%	71%	29%	0%

➡ რესპოდენტების ნაწილის აღნიშნავს, რომ დაბაში ვისაც ჰქონდა ნაკვეთები, უკვე თითქმის არავინ ამუშავებს, რადგან "ყველაფერი ლპება".

წყარო: "როდესაც შენი მეზობელი სპილენძისა და ოქროს მომპოვებელი საწარმოა – RICH METALS GROUP-ის გავლენა ქალთა ცხოვრებაზე დაბა კაზრეთში", "ქვემო ქართლის მედია", მანონ ბოკუჩავა, 2018 წელი.

ფინანსური მხარდაჭერა: "ქალთა ფონდი საქართველოში"

რესპოდენტების რაოდენობა: 100 ქალი / კვლევის არეალი: დაბა კაზრეთი

თქვენი დაკვირვებით, დაბა კაზრეთში, ეკოლოგიურად რამდენად სუფთაა ჰაერი?

ვფიქრობ, ეკოლოგიურად სუფთაა	ვფიქრობ, არ არის სუფთა	არ ვიცი	უარი პასუხზე
0%	92%	8%	0%

➡ რესპოდენტები განმარტავენ, რომ დაბაში განსაკუთრებით ზაფხულში მკაფიოდ შეინიშნება ჰაერში მტვრის დიდი რაოდენობა - ხშირად მოდის წვიმა, რომელიც ყვითელი ფერისაა. რესპოდენტების თქმით, ხშირად გაურეცხავთ სარეცხი ხელმეორედ, რადგან წვიმის წვეთები ყვითელ ლაქებად დარჩა.

წყარო: "როდესაც შენი მეზობელი სპილენძისა და ოქროს მომპოვებელი საწარმოა - RICH METALS GROUP-ის გავლენა ქალთა ცხოვრებაზე დაბა კაზრეთში", "ქვემო ქართლის მედია", მანონ ბოკუჩავა, 2018 წელი.

ფინანსური მხარდაჭერა: "ქალთა ფონდი საქართველოში"

რესპოდენტების რაოდენობა: 100 ქალი / კვლევის არეალი: დაბა კაზრეთი

როგორ ფიქრობთ, არის თუ არა ეკოლოგიური პრობლემების გამომწვევი მიზეზი RMG-ის მუშაობა?



წყარო: "როდესაც შენი მეზობელი სპილენძისა და ოქროს მომპოვებელი საწარმოა - RICH METALS GROUP-ის გავლენა ქალთა ცხოვრებაზე დაბა კაზრეთში", "ქვემო ქართლის მედია", მანონ ბოკუჩავა, 2018 წელი.

ფინანსური მხარდაჭერა: "ქალთა ფონდი საქართველოში"

რესპოდენტების რაოდენობა: 100 ქალი / კვლევის არეალი: დაბა კაზრეთი

როგორ შეაფასებთ ადგილობრივი ხელისუფლების მუშაობას?



➡ რესპოდენტები დადებითად აფასებენ გზის საფარის დაგებას, კორპუსებში ლიფტების მოწყობას.ხოლო უარყოფითად შეფასებისას რესპოდენტები განმარტავენ, რომ დაბას არ აქვს სასწრაფო სამედიცინო ცენტრი, სამშობიარო და სრულფასოვანი სამედიცინო მომსახურების ცენტრი.

წყარო: "როდესაც შენი მეზობელი სპილენძისა და ოქროს მომპოვებელი საწარმოა – RICH METALS GROUP-ის გავლენა ქალთა ცხოვრებაზე დაბა კაზრეთში", "ქვემო ქართლის მედია", მანონ ბოკუჩავა, 2018 წელი.

ფინანსური მხარდაჭერა: "ქალთა ფონდი საქართველოში"

რესპოდენტების რაოდენობა: 100 ქალი / კვლევის არეალი: დაბა კაზრეთი

როგორ შეაფასებთ ცენტრალური ხელისუფლების მუშაობას?



➡ რესპოდენტების შეფასებია: "RMG გვწამლავს და ჩვენი სახელმწიფო ჩუმად არის", "RMG-მ მთები აღარ დაგვიტოვა, ტყეები ცოცხლად დაგვიმარხა, ჰაერს ვერ ვსუნთქავთ და სადაა მთავრობა?"

წყარო: "როდესაც შენი მეზობელი სპილენძისა და ოქროს მომპოვებელი საწარმოა - RICH METALS GROUP-ის გავლენა ქალთა ცხოვრებაზე დაბა კაზრეთში", "ქვემო ქართლის მედია", მანონ ბოკუჩავა, 2018 წელი.

ფინანსური მხარდაჭერა: "ქალთა ფონდი საქართველოში"

რესპოდენტების რაოდენობა: 100 ქალი / კვლევის არეალი: დაბა კაზრეთი

თქვენი შეფასებით, ჯანმრთელობის თვალსაზრისით, რამდენად უსაფრთხოა დაბაში ბავშვების გაზრდა?



➡ რესპოდენტების უმრავლესობის თქმით, "დაბაში ბავშვების გაზრდით საფრთხეს უქმნიან მათ ჯანმრთელობას, ამიტომაც, ვისაც შესაძლებლობა აქვს სხვაგან ჰყავს ცოლ-შვილი".

წყარო: "როდესაც შენი მეზობელი სპილენძისა და ოქროს მომპოვებელი საწარმოა – RICH METALS GROUP-ის გავლენა ქალთა ცხოვრებაზე დაბა კაზრეთში", "ქვემო ქართლის მედია", მანონ ბოკუჩავა, 2018 წელი.

ფინანსური მხარდაჭერა: "ქალთა ფონდი საქართველოში"

რესპოდენტების რაოდენობა: 100 ქალი / კვლევის არეალი: დაბა კაზრეთი

იჩენს თუ არა RMG ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ სოციალურ პასუხისმგებლობას?

დიახ, საწარმო იჩენს სოციალურ პასუხისმგებლობას	დიახ, თუმცა მინიმუმს აკეთებს მოსახლეობისთვის	არა	უარი პასუხზე
17%	71%	12%	0%

➡ რესპოდენტების თქმით, საწარმო დაბაში აფინანსებს "კულტურისა და სპორტის მიმართულების წრეებს", "არემონტებს სკოლებს", "ფულად დახმარებებს უწევს მოქალაქეებს". თუმცა რესპოდენტების უმრავლესობის თქმით, იმ ზიანის გამო, რასაც დაბას აყენებს, ადგილობრივ მოსახლეობას უნდა დაუფაროს საყოფაცხოვრებო გადასახადების ნაწილი მაინც.

წყარო: "როდესაც შენი მეზობელი სპილენძისა და ოქროს მომპოვებელი საწარმოა – RICH METALS GROUP-ის გავლენა ქალთა ცხოვრებაზე დაბა კაზრეთში", "ქვემო ქართლის მედია", მანონ ბოკუჩავა, 2018 წელი.

ფინანსური მხარდაჭერა: "ქალთა ფონდი საქართველოში"

რესპოდენტების რაოდენობა: 100 ქალი / კვლევის არეალი: დაბა კაზრეთი

რის/რა მიდგომის შეცვლას ისურვებდით საწარმოს (RMG) მუშაობაში?

წყარო: "როდესაც შენი მეზობელი სპილენძისა და ოქროს მომპოვებელი საწარმოა – RICH METALS GROUP-ის გავლენა ქალთა ცხოვრებაზე დაბა კაზრეთში", "ქვემო ქართლის მედია", მანონ ბოკუჩავა, 2018 წელი.

ფინანსური მხარდაჭერა: "ქალთა ფონდი საქართველოში"

რესპოდენტების რაოდენობა: 100 ქალი / კვლევის არეალი: დაბა კაზრეთი